www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

2021 წელი

17.10.2022 | www.geostat.ge

17.10.2022

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები

(2021 წლის გამოკვლევის ძირითადი შედეგები)

გამოკვლევის შედეგების მიხედვით არაფინანსური კორპორაციების აქტივების მოცულობამ 2021 წლის ბოლოსათვის 114.7 მილიარდი ლარი შეადგინა, საიდანაც 4.2 პროცენტი გამოსახული იყო უცხოური ვალუტით.

2021 წლისთვის მთლიანი აქტივებიდან ფინანსური აქტივების მოცულობა 24.7 მილიარდი ლარია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების სტრუქტურა 2020-2021 წლების მიხედვით:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია	2020		2021	
	მლნ. ლარი	%	მლნ. ლარი	%
ფინანსური აქტივები სულ	**20 893.2**	**100.0**	**24 680.4**	**100.0**
აქედან:				
ნაღდი ფული და დეპოზიტები	4 292.0	20.5	5 524.5	22.4
აქედან:				
ფული სალაროში ეროვნული ვალუტით	457.4	2.2	623.1	2.5
ფული სალაროში უცხოური ვალუტით	26.6	0.1	24.5	0.1
მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	3 447.7	16.5	4 518.6	18.3

17.10.2022

2021 წელს ფინანსური აქტივების საერთო რაოდენობიდან მოკლევადიანი აქტივების მოცულობა 4.5 მილიარდი ლარი იყო, ხოლო ლიკვიდურობის პროცენტი - 37.3.

2021 წლის ბოლოსათვის არაფინანსური კორპორაციების ვალდებულებები 67.1 მილიარდ ლარს გაუტოლდა, საიდანაც მოკლევადიანი ვალდებულებები შეადგენდა 17.0 მილიარდ ლარს.

2021 წლის ბოლოსათვის არსებული მთლიანი ვალდებულებებიდან 14.3 მილიარდი ლარი[1] წარმოადგენს ვალდებულებებს უცხოური ვალუტით, ხოლო არარეზიდენტების მიმართ არსებული ვალი (საგარეო ვალი) 11.4 მილიარდ ლარს შეადგენს.

კაპიტალის და რეზერვების მოცულობამ 2021 წლის ბოლოსათვის 47.6 მილიარდი ლარი შეადგინა:

არაფინანსური კორპორაციების ფინანსური მაჩვენებლები 2020-2021 წლებში



[1] კონვერტირებული ლარში (2021 წლის ბოლოს მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით).

17.10.2022

არაფინანსური კორპორაციების მიერ 2021 წელს გაწეული საპროცენტო ხარჯები 2.2 მილიარდ ლარს შეადგენს, ხოლო მთლიანი შემოსავლები - 15.0 მილიარდ ლარს, რომლის სტრუქტურაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე:

არაფინანსური კოორპორაციების შემოსავლების სტრუქტურა 2020-2021 წლებში



2021 წელს ვალის მომსახურებაზე გაწეულმა ხარჯებმა (იგულისხმება სასესხო ვალდებულებების გასტუმრება სესხის ძირისა და პროცენტის გადასახადის სახით) 9.6 მილიარდი ლარი შეადგინა. აქედან, ვალის მომსახურება მხოლოდ სესხის პროცენტის მიხედვით 1.5 მილიარდი ლარია. ვალის მომსახურება ფიზიკური პირებიდან მიღებული სესხების მიხედვით 92.9 მილიონი ლარს, ხოლო ვალის მომსახურება სხვა არაფინანსური კორპორაციებიდან მიღებული სესხების მიხედვით 445.8 მილიონი ლარს შეადგენს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული ტელ: 2 36 72 10 (200). E-mail: aarabuli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge